

ზოგადი ინფორმაცია

პროექტის დასახელება: საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენა ცვლილების და რეპროგრამირების შეთანხმება (COVID-19 სპეციფიკური სქემები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სქემები)

სტატუსი: მიმდინარე

ხანგრძლივობა: COVID-19 სპეციფიკური სქემები - 2021 წლის 31 დეკემბრამდე; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სქემები - 2024 წლის 31 დეკემბრამდე

დონორი/დამფინანსებელი: ევროპის საინვესტიციო ბანკი

პროექტის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ბიუჯეტი: 100 მლ. ევრო

პროექტის მიზანი

2016 წლის 9 თებერვალს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თუმცა, COVID-19 პანდემიის გამოწვევებიდან გამომდინარე, 2020 წლის 21 დეკემბერს, მოხდა შეთანხმების ფინანსური რეპროგრამირება, რომლის მთავარი პრიორიტეტი საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება გახდა. პროგრამა იყოფა ორ ნაწილად: COVID-19 სპეციფიკური სქემები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სქემები.

COVID-19 სპეციფიკური სქემები

- სპეციფიკური სქემის ფარგლებში, COVID-19 პანდემიის შემცირებასთან, შესაბამის ეროვნულ პანდემიასთან ან სამოქალაქო დაცვის/კატასტროფის გეგმებთან დაკავშირებით, შეძენილი იქნება აღჭურვილობა და მასალები (დამცავი მასალები და მოწყობილობები, ჰიგიენისა და სადეზინფექციო ღონისძიებები);
- ვაქცინები და ვაქცინაციის კამპანია COVID-19- ის წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სქემები

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სქემები მიმართულია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებისკენ მთელს საქართველოში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განახლება, მშენებლობასა და აღჭურვისკენ.